



შეუძლია  
თუ არა  
რუსეთს  
მეტი მებობრისა  
და მხარდაჭერის  
პოვნა  
უკრაინის წინააღმდეგ ომში?

ცენტრალური აზიის ქვეყნების  
პოზიცია და რეაქციები

სამოქალაქო იდეა  
21.03.2022

# რუსეთი უკრაინა სანაღმრთო კონა



რუსეთის უკრაინაში შეჭრა შუა აზიის სახელმწიფოებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ბუნებრივია, მათი ყურადღება მიპყრობილი იყო 2022 წლის დასაწყისში, ყაზახეთში განვითარებულ მოვლენებზე, სამოქალაქო წინააღმდეგობის ცენტრალური აზიისათვის უჩვეულოდ მძლავრ ტალღასა და ყაზახეთში რუსულ-ბელორუსიული ერთობლივი სამხედრო შენაერთების შესვლაზე, როდესაც რუსეთის უპრეცედენტო სამხედრო აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ მსოფლიო შეძრა.

დასაწყისისთვის უნდა გავიხსენოთ რამდენიმე ფაქტი. უპირველეს ყოვლისა ის, რომ შუა აზიის ყველა სახელმწიფო, მათი ეკონომიკა რუსეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ზოგიერთი მათგანი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრიცაა. მათ შორის თანამშრომლობა და ურთიერთდამოკიდებულება იმდენად დიდია, რომ საშიშროება, რომ კრემლისათვის დაკისრებული დასავლეთის სანქციები მათზეც გავრცელდება, ძალიან ხელშესახები და რეალურია.

უფრო მეტიც, ცენტრალური აზიის სამი ქვეყანა, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი, სომხეთთან და ბელორუსიასთან ერთად, უსაფრთხოების/სამხედრო ალიანსის (CSTO) წევრები არიან, რომელსაც რუსეთი ხელმძღვანელობს. სწორედ აღნიშნული ალიანსის დროშის ქვეშ მოქმედებდნენ ალმაატასა და ყაზახეთის სხვადასხვა ქალაქებში შესული რუსულ-ბელორუსიული სამხედროები 2022 წლის დასაწყისში. შესაძლოა მოსკოვის სწორედ ამგვარი სწრაფი რეაგირების შედეგი იყო, CSTO -ს წევრი ქვეყნებისგან სამხედრო სფეროში, მყისიერად ღია მხარდაჭერის მიღების მოლოდინი უკრაინაში აგრესიის შემდეგ, რაც საბედნიეროდ არ გამართლდა.

მოსკოვთან ახლო კავშირების მიუხედავად, ცენტრალური აზიის ქვეყნების ეროვნული მთავრობების რეაქციები და პოლიტიკური განცხადებები, სრული დუმილიდან მშვიდობისკენ მოწოდებამდე მერყეობს და მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში, განსხვავდება თავად ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ხელმძღვანელობის სხვადასხვა წარმომადგენლის პოზიციებიც. პრეზიდენტ პუტინის მიერ, დონბასისა და ლუგანსკის სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებამ და უკრაინის სუვერენულ სახელმწიფოზე თავდასხმამ, ცენტრალური აზიის ზოგიერთ სახელმწიფოში, განსაკუთრებით იქ, სადაც ანგარიშგასაწევი ეთნიკურად რუსი უმცირესობები ცხოვრობენ, ერთმნიშვნელოვნად შფოთი გამოიწვია და უსაფრთხოების რისკები გაზარდა.

# ყირგიზეთი



განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ყირგიზეთის პოზიცია. 22 თებერვალს, ომის დაწყებამდე ორი დღით ადრე, ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სადირ ჯაფაროვმა, ღიად გამოხატა თავისი პირდაპირი მხარდაჭერა რუსეთის მიმართ. მისი განცხადებით, უკრაინის მიერ მინსკის შეთანხმების შეუსრულებლობამ გამოიწვია რუსეთის შეჭრის პროვოცირება დონბასის რეგიონში, არც მეტი არც ნაკლები ადგილობრივი მოსახლეობის „დასაცავად“. მან ასევე გაამართლა რუსეთის მიერ უკრაინის სეპარატისტული რეგიონების აღიარება და განაცხადა, რომ ნებისმიერ ქვეყანას აქვს უფლება აღიაროს სხვა ქვეყანა ან მისი ტერიტორია.

აქვე აუცილებლად აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ომის დაწყებამდე გაკეთებული განცხადებებისა, გარკვეული შეუთანხმებლობა უშუალოდ საომარი ოპერაციის დაწყებისთანავე გამოჩნდა. 26 თებერვალს, რუსეთის ოფიციალური სახელმწიფო სააგენტო TASS-ი იუწყებოდა, პრეზიდენტ პუტინისა და ყირგიზეთის პრეზიდენტის სატელეფონო საუბრის შესახებ. მიუხედავად კრემლის მტკიცებისა, რომ ბატონმა ჯაფაროვმა მხარი დაუჭირა რუსეთის შეჭრას უკრაინაში, იმავე დღეს თავად პრეზიდენტ ჯაფაროვის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებასა და საუბრის აღწერაში, არ დასტურდებოდა რუსეთის ქმედებების მხარდაჭერა ყირგიზეთის მხრიდან. ქვეყანამ ერთმნიშვნელოვნად ნეიტრალური პოზიცია გამოხატა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყირგიზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადებით, ქვეყანა ემიჯნებოდა პრეზიდენტის მიერ ომის დაწყებამდე გამოხატულ მხარდაჭერას, ინარჩუნებდა ნეიტრალურ და თავშეკავებულ პოზიციას და კონფლიქტის მშვიდობიანი დეესკალაციის იმედს გამოთქვამდა.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ 4 მარტს, დააკავეს ყირგიზეთის დამოუკიდებელი ტელეკომპანია „NEXT“-ის დირექტორი და ტელეარხის წინააღმდეგ დაიწყო გამოძიება ეთნიკური სიძულვილის წაქეზების მოტივით, მას შემდეგ, რაც დევნილობაში მყოფი ყაზახეთის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტის ყოფილი უფროსის ციტირებით, ითქვა, რომ „ყირგიზეთი და ტაჯიკეთი თანხმდებიან მხარი დაუჭირონ მოსკოვის არაპროვოცირებულ შეჭრას უკრაინაში, რაც გამოიხატება რუსეთის დასახმარებლად ჯარის გაგზავნაში“. ყირგიზეთის მთავრობამ უარყო აღნიშნული ბრალდებები და მედიისგან ინფორმაციის გადამოწმება მოითხოვა. აღნიშნული საქმე მნიშვნელოვანია ბევრი თვალსაზრისით და უპირველესად იმიტომ, რომ ამ გამოძიებით ოფიციალურმა ბიშკეკმა არაპირდაპირ ერთმნიშვნელოვანი პოზიცია გამოხატა, რომ არ აპირებს რუსეთისათვის სამხედრო მხარდაჭერის აღმოჩენას.

# უზბეკეთი



25 თებერვალს, კრემლის ოფიციალური საინფორმაციო არხებით გავრცელდა, რომ სატელეფონო საუბრისას, უზბეკეთის პრეზიდენტმა შავკათ მირზიოევმა მხარი დაუჭირა პუტინის აგრესიას და აღნიშნა, რომ „რუსეთის მოქმედებები გასაგები იყო“. ყირგიზეთის მსგავსად, ამჯერადაც გაუგებრობაში აღმოჩნდა მოსკოვი, ვინაიდან პრეზიდენტ მირზიოევის ადმინისტრაცია მყისიერად გაემიჯნა მას და განმარტა, რომ ოფიციალური უზბეკეთი ინარჩუნებს ნეიტრალურ პოზიციას უკრაინის ომში და მხარს უჭერს მის მშვიდობიან მოგვარებას.

მოგვიანებით, 17 მარტს, უზბეკეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, აბდულაზიზ კამილოვმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას დაგმო რუსეთის სამხედრო მოქმედებები და აგრესია უკრაინის წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ უზბეკეთი აღიარებს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას და უწევს მას ჰუმანიტარულ დახმარებას: „უზბეკეთი აღიარებს უკრაინის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ არ ვაღიარებთ (ე.წ.) ლუგანსკის და დონეცკის სახალხო რესპუბლიკებს“. გარდა ამისა, უზბეკეთის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, ალიშერ კადიროვმა, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩევა ანტირუსული განწყობებით, გააკრიტიკა პუტინის ქმედებები და შეაქო უკრაინა გამოჩენილი გამბედაობისა და საპასუხო ბრძოლისუნარიანობისათვის.

# ყაზახეთი



ყაზახეთს დასაწყისშივე მკაცრი პოზიცია ჰქონდა უკრაინის ომთან დაკავშირებით, როდესაც უარი თქვა რუსეთის სამხედრო მოქმედებებში დახმარებასა და რაიმე თანამონაწილეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი CSTO-ს წევრია და მიიჩნევა რუსეთის უახლოეს მოკავშირედ ცენტრალური აზიის რეგიონში, როგორც ეკონომიკურ, ასევე სამხედრო სფეროში. ასევე არსებობდა მოლოდინი, რომ რუსეთი პრეზიდენტ ტოყაევისგან იანვარში აღმოჩენილი დახმარებისთვის „ვალის“ გადახდას მოითხოვდა.

უკრაინაში სამხედრო აგრესიის დაწყებამდე, თითქმის ერთი თვით ადრე, CSTO-მ, ანუ რუსეთმა, თავისი სამხედრო ძალები გაგზავნა ყაზახეთში, მასობრივი პროტესტის ჩასახშობად და მთავრობის გადასარჩენად. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ რუსეთმა ყაზახეთის მთავრობას სთხოვა სამხედრო დახმარება უკრაინის წინააღმდეგ ომში. მიუხედავად ამისა, ყაზახეთის პრეზიდენტმა უარი თქვა არმიის გაგზავნაზე და მისგან არც დონეცკისა და ლუგანსკის სეპარატისტული რეგიონების სახემწიფოებად აღიარება მოსალოდნელი არ არის. გარდა ამისა, ტოყაევმა დაჟინებით მოითხოვა ევრაზიის უსაფრთხოების განუყოფლობის პრინციპის ამოქმედება და მხარეებს მშვიდობის დამყარებაში შუამავლობა შესთავაზა.

გასაკვირი არ არის, რომ კრემლის რიტორიკამ უკრაინის წინააღმდეგ, ყაზახეთში ბევრს გაახსენა 2014 წელი, როდესაც ვლადიმერ პუტინმა პრეზიდენტ ნაზარბაევთან შეხვედრის დროს, ისეთივე დამამცირებელი ენა გამოიყენა ყაზახეთის მიმართ, როგორც უკრაინასთან დაკავშირებით იყენებს და ყაზახეთის ერთიანი სახელმწიფოებრიობა დააყენა ეჭვის ქვეშ. პრეზიდენტ პუტინის პარალელურად კი კრემლის იდეოლოგებმა ყაზახეთის ეთნიკურად რუსებით დასახლებული ჩრდილოეთის ტერიტორიების სეპარატიზმის პოტენცილის საკითხის საჯაროდ განხილვა დაიწყეს.

# ტაჯიკეთი



როგორც რეგიონში ყველაზე ღარიბი ქვეყანა - ტაჯიკეთი, ყველაზე მეტად დაზარალდა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებით. მიუხედავად ამისა, ოფიციალურმა დუშანბემ თავი შეიკავა ომში მყოფ ქვეყნებთან დაკავშირებით რაიმე სახის პოზიციონირებისა და კომენტარის გაკეთების, ან რომელიმეს მხარდაჭერისგან. ერთადერთი კომენტარი რომელიც დუშანბედან გაისმა იყო ერთ-ერთი სახელმწიფო მედია საშუალებით გავრცელებული გაეროს გენერალური მდივანის ციტატა, სადაც ეს უკანასკნელი რუსეთს მიმართავს, თავი შეიკავოს უკრაინაში სამხედრო მოქმედებებისგან. ტაჯიკეთს, ოფიციალურ დონეზე, სხვა კომენტარი არ გაუკეთებია.

რა თქმა უნდა არ უნდა დაგვავიწყდეს კენჭისყრა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც 2022 წლის 2 მარტს შედგა. ტაჯიკეთმა, ევრაზიის ეკონომიკური კავშირის სხვა წევრი ქვეყნების მსგავსად - ყაზახეთი, ყირგიზეთი და სომხეთი, 2022 წლის 2 მარტს, რეზოლუციის ES 11/1-ზე კენჭისყრისას, თავი შეიკავა. რეგიონის ორი სხვა ქვეყანა, თურქმენეთი და უზბეკეთი კენჭისყრას არ ესწრებოდნენ, რაც შედეგის თავლსაზრისით იგივეა, თუმცა კიდევ უფრო ნეიტრალურ პოზიციად ითვლება. შეგახსენებთ, რომ 2 მარტს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს რუსეთის უკრაინაში შეჭრას, მოითხოვს სამხედრო ძალების სრულ გაყვანას ქვეყნიდან და დონეცკისა და ლუგანსკის თვითგამოცხადებული სახალხო რესპუბლიკების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებების გაუქმებას.

# თურქმენეთი



თურქმენეთში არსებული რეჟიმისა და ავტორიტარული მმართველობის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ მის მთავრობას არ გამოუხატავს არავითარი კონკრეტული პოზიცია უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

საერთო ჯამში, არა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები, არამედ მთლიანად საზოგადოება დათრგუნული და შებოჭილია ხელისუფლების საერთაშორისო კურსსა და საგარო ასპარეზზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე რაიმე კომენტარის გაკეთების ან პოზიციის გამოხატვისგან. ქვეყანაში არასდროს საუბრობენ საერთაშორისო ურთიერთობების ან სახელმწიფო მმართველობის რაიმე სხვა საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ მარტის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქმენეთს შორის გაიმართა ყოველწლიური ორმხრივი კონსულტაციები (ABCs), სადაც აშშ დაჟინებით მოითხოვდა „რუსეთის წინასწარგანზრახული, არაპროვოცირებული და გაუმართლებელი თავდასხმის დაგმობასა და უკრაინელ ხალხთან სოლიდარობის შენარჩუნებას.“ თუმცა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მედიისთვის განკუთვნილი და საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების შესაბამისად, თურქმენულ მხარეს რაიმე სახის პოზიცია არ გამოუხატავს.